



სამშაბათი,  
თებერვლის 18.

(თებერვლის 5).

1919 წელი.

№ 34.

ფასი 50 კაპ.


სოციალ-დემოკრატიული  
საბჭოთა  
გაზეთი

კლდე

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით  
გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი,  
ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10  
საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5  
ტელეფონი № 18-31.



დამოუკიდებელი ნაციონალური  
პოლიტიკის ორგანო.

ცნობები.

ქ. ახალციხე წესრიგის აღსადგენად ინგლისის  
ჯარს დაუკავებია

ირლანდიაში ნაციონალისტების დატუხადე-  
ბის გამო ინგლისის წინააღმდეგ დიდი მოძრაობა  
დაიწყო

რუმინიაში „ბოლშევიკური“ აჯანყება და-  
იწყო

ინგლისის ქალაქი ბელფასტი მუშების ხელ-  
შეშევითა

ვალსონი ამერიკაში დაბრუნდა  
საბერძნეთი კონსტანტინოპოლს მოითხოვს  
(უკანსკნული ცნობები შესამე გვერდზე)

**ქართველთა ლეგიონი**  
იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოლატე-  
ების წინააღმდეგ საბრძოლველად!  
მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ  
მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!  
**მოიხარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!**

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

თფილისი, თებერვლის 18. (5)

**საქართველოს მდგომარეობა.**

ჩვენი ფართე საზოგადოება უკვე საკმა-  
რისათ გაეცნო ახალ სტუმრებს, რომლებიც  
საერთაშორისო ბრუნვამ ზედი-ზედ გვასტუმრა.  
პატარა საქართველო დესპოტიურ რუსეთის  
კლანჭებში საცოდავად სულს ლაფავდა; მას არ  
გაუმართლდა ის დებულებანი, რომლებიც სა-  
ფუძვლად დაედო რუსეთ-საქართველოს შეერ-  
თებას. განვლო ტანჯვის წლებმა და როგორც  
იყო, 26 მაისის დეკლარაციით, საქართველოს  
შემდეგ ბორკილები აეყარა. საკუთარი გვირგვი-  
ნის დადგმა პატარა საქართველოს მეტად ძნელ  
პირობებში მოუხდა და დღესაც ეს გვირგვინი  
შემდეგ და ეკლიანი. ჩვენს სამშობლოს გარ-  
შემოერთება მტრები, რომლებიც აკლებას და  
გაჩანაგებას გვიპირებენ. ჯერ კიდევ ქ. ბაქო-  
დან, წარსულ წელს, რუსის პატრიოტები ბოლ-  
შევიკურ ქურქში გახვეული საქართველოს ემუ-  
ჭრებოდნენ. დაუვიწყარი დარჩება ოსმალეთის  
ავანტურისტების შემოსევა ასკერებით საქართვე-  
ლოში და ციხე ბათუმის დაპყრობა. საზიზღარ-  
ია ჩვენი დაუძინებელი „მელია“-ს შემოსევა  
მაშა პაპურ ადგილებში. სომხობა მუდამ ეამ  
სამარეს გვითხრიდა და ჩვენ უბედურებაზე სა-  
კუთარ ბედნიერებას აშენებდა სომხის ერმა  
საუკეთესო გამოიმხატველი ნახა თვისი ინსტი-  
ტუტებისა დაშნაკელების სახით და რა ნახეს  
ხელსაყრელი მომენტი, საქართველოს არსებო-  
ბას დაესივნენ საშინელის სისწრაფით, ისე, რო-  
გორც მანვე ბაქტერიები და ყოველ მხრიდან  
წამოგვესიენ. რა თქმა უნდა პატარა საქართვე-  
ლო ჯერ მხოლოდ მარტო პარტიულათ მომ-  
ხადებული, ვერ შესძლებდა ჯეროვნათ თავი  
დაეღწია განსაცდელიდან. ამ გაჭირების დროს

გერმანეთის მთავრობამ ჩვენ მშური ხელი გამო-  
გვიწოდა და გვიხსნა განსაცდელიდან. ასეთ შემ-  
თხვევაში იმის ლაპარაკი ვითომც ჩვენს მთავ-  
რობას რომელიმე „ორიანტაცია“ ჰქონებო-  
დეს, ზედმეტია. ყოველივე მოხდა მექანიკურათ  
და ჩვენდა სასარგებლოთ. ექვს გარეშეა ის, რომ  
გერმანეთს თავისი გეგმა ჰქონდა და მისი სა-  
კუთარი ინტერესები მოითხოვდნენ ასეთ ნაბიჯს.  
ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენი  
საზოგადოება მუდამ უაღრესად მაღლიერი იქ-  
ნება გერმანეთისა და თამამად შეგვიძლიან  
ესთქვათ სიმპატიების საძირკვლები სამერმი-  
სოდ უკვე ჩაჰყრილია ამ ორ ერთა შო-  
რის. საერთაშორისო შეჯახება გათავდა  
გერმანეთის და ცენტრალ სახელმწიფოე-  
ბის დამარცხებით, მხოლოდ ჯერ ბრძოლის  
ველზედ დამარცხებას ლოლიკურ დასკვნამდის  
ვერ მიუყვანია კაცობრიობა და ჯერაც მოსა-  
ლოდნელია ბევრი ცვლილება. ამ დამარცხე-  
ბამ გამოიწვია გერმანელების ჩვენი ქვეყნიდან  
წასვლა და მათ მაგიერ ინგლისელების მოსვლა.  
ასეთმა ცვლილებამ ჩვენში მექანიკურათ შეჰ-  
სცვალა პოლიტიკური განწყობილება: ძველი  
დაინგრა და ახალი დამყარდა. სომხებმა  
„ერთგულ“ მოკავშირეებმა ინგლისელებისა,  
ფრთები შეისხნენ და თუ ბაქოში ისინი სამარცხე-  
ნით გარბოდნენ და ბრძოლის ველზე ორი დღის  
განმავლობაში მარტო ინგლისელები შეატოვეს  
გააფრთხულ ასკერებს, ეხლა კი თავ გამო-  
დებით მეორეჯერ საქართველოს შემოესიენ,  
ალბად „მეგობრობის“ დასამტკიცებლათ და  
მათ „მედგარ-შეუპოვარმა“ ჯარმა საზღვრები  
გადმოლახა, ხილები აგვიფეთქა ჩვენი დედა ქა-  
ლაქის დასაპყრობათ. ამ ახალ პოლიტიკურ  
სიტუაციაში ჩვენ ვავიმარჯვებთ ბრძოლის ველ-  
ზე, მხოლოდ სომხებს უფრო მეტი სათქმელი-

და დარჩათ. უდავო ადგილები საქართველო-  
სა სადავოთ ვახადეს და დღეს იგი მათ მეგო-  
ბრების ხელთ ჰყვეს. გარდა ამისა ახალ დამყა-  
რებულ პოლიტიკურ სიტუაციაში დენიკინი  
ჩვენს ტერიტორიაზედ შემოიჭრა... რისთვის?  
უეჭველია ახალი სიტუაცია მტკიცდება და  
ძალას იკრავს. ახალციხის ამბები მეტად საგო-  
ნებელია და ექვს გარეშეა კონტაქტი უნდა  
ჰქონდეს ამ სიტუაციასთან. ქ. ბათუმშიაც  
ახალი სიტუაციის ნიავი ჰქრის. ერთის სიტ-  
ყვით საქართველო გარემოცულია დამაფიქ-  
რებელი მოვლენებით და დღითი დღე მისი მდგო-  
მარეობა რთულდება და ვიწროვდება. ჩვენი ახლათ  
მოვლინებული სტუმარი, დიდი ბრიტანეთის  
მხედრობა და მისისა, საქართველოს ზერულე  
დაპყრობებს და ვერ შეგუდება ჩვენს „სოცია-  
ლისტურ ექსპერიმენტს“. მართალია ისინი სა-  
ქართველოს არწმუნებენ კეთილ განწყობილე-  
ბაში, ხოლო ეს მათ ხელს არ უშლის დენი-  
კინის ჯარი უზრუნველ ჰყონ: ფულით, სურ-  
სათით, სანოვავით. ასეთი პატივი არც „მეგო-  
ბარ“ სომხებს დაკლებიათ. ინგლისის გენერა-  
ლი წერილობით სიტყვას სდებს საქართველოს  
წინაშე, რომ დენიკინს ნებას არ მისცემს  
ჩვენ საქმეში ჩაერიოს, მხოლოდ ბრძოლის  
ასპარესზედ დენიკინი სულ სხვა საბუთს იძლე-  
ვა. ჩვენ საქართველოს მაშამდიანებიდანაც გვი-  
ცავენ, მხოლოდ ექვს გარეშეა მათი ქარა სო-  
ციალისტური სიმპატიები მათკენ არის. ასეთია  
დღეს ჩვენი რთული მდგომარეობა და მთავ-  
რობა კი ჯერ პარტიულ შეგნებას ვერ გასცი-  
ლებია და პროვინციებში დაპროპაგანდისტობს.  
სხვა სახელმწიფოების პოლიტიკა მათთვის კი-  
ტრის საფასურია! ხალხში აქა იქ ყრულ და-  
დის ამბავი, რომ ზოგიერთი ჩვენი მთავრობის  
წევრი ჯერაც ვერ დარწმუნებულა საქართვე-  
ლოს დამოუკიდებელ ცხოვრებაში და იმ მგელ

### საქართველოს ამბები.

#### მიტროპოლიტ ლეონიდეს კათალიკოსად არჩევა

თებერვ. 16 საქათალიკოსო საბჭომ და-  
ამტკიცა მიტროპოლიტ ლეონიდეს საქართვე-  
ლოს კათალიკოს-პატრიარქად არჩევა.

#### სვანეთის მადლობა.

თავისუფალი სვანეთის დელეგაციის თავმჯ-  
დომარე ევნატე გაბლიანი სალომს უძღვნის  
საქართველოს დედა ქალაქ თბილისს და მად-  
ლობას სწირავს ქალაქის თვითმართველობას  
სტუმართ მოყვარეობისა და პატრიარქისთვის.

#### ინტერპარტიული კრება მომენტზე ოზურგეთში

ოზურგეთი, 14 თებერვალს სოციალ-დემ-  
ოკრატიულ გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის  
ინიციატივით მოხდა გურიაში მომქმედ ყველა  
პოლიტიკური პარტიების ინტერ-პარტიული  
კრება დენიკინის გამოლაშქრებისა და ახალ-  
ციხის ბანდების გამოსვლის გამო.

#### მოხალისეთა გემის დაკავება ფოთში

თებერვლის 15 ნოვოროსიისკიდან მოვიდა  
გემი „კონსტანტინე“ რომელზედაც აღმოჩნდა  
ორმოცამდე მოხალისეთა ჯარის კაცი და აფი-  
ცრები. მათ შორის ერთი გენერალია, როგორც  
გამოირკვა გემი სოჩაში უნდა შესულიყო, სა-  
დაც მიქონდა სურსათი: პურა, ფქვილი და  
სხვა. ზღვაზე ცუდი ამინდის გამო, გემმა ბა-  
თუმის ნავთსადგურში განიზრახა თავის შეფა-  
რება. მიუხედავად ამისა კაპიტანმა გემი ფოთის  
ნავთსადგურში შემოიყვანა, სადაც იგი მაშინ-  
ვე დატყვევებულ იქნა. მოხალისეებს იარაღი  
აყარეს, ხოლო პურის ფქვილის და სხვა სა-  
ნოვავეს კონფისკაცია უქნეს.

#### ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა პოლკ. შმა-  
გაილოვის და კუჩარაიანის დამცველებმა იუს-

ვიწრო ქოხებსა და ბოსლებშია? ასე ჩიოდნენ  
რედაქციის მიმართ წერილებში. წინათაც ხომ  
ასე იყო — უპასუხებდნენ ამაზე. რასაკვირვე-  
ლია, მაგრამ წინად, ვისაც სოფლად ცხოვრება  
არ მოსწონდა, ყველას შეეძლო ქალაქად წა-  
სულიყო. ეხლა კი, როდესაც სოფლის მცხოვ-  
რები მიწას არის მიჯაჭვული მანამდე, ვიდრე  
მთავრობა არ ინებებს ქალაქში მის გადაყვანას,  
საჭიროა მოთხოვნილ იქნას ყველა ის, რი-  
თაც ქალაქებში სარგებლობენ, რადგან ერთ-  
ნაირი უფლება არსებობს ყველასათვის.

კანცლერმა არ იცოდა რით დაეღწია თა-  
ვი გაჭირვებიდან! ხალხის მართვა რასაკვირვე-  
ლია, რამდენათმე უფრო ძნელია, ვიდრე ჩე-  
ქმებისა და ტანისამოსის წმენდა. ერთად ერთი,  
რაც მან მოაწყო. ეს სახლო გასართობებია.  
მაგრამ რაც უნდა გულით მდომოდა, მაინც  
ვერ მოხერხებდა ყველა ქუჩებზე ორკესტრისა,  
ცირკისა და თეატრების მოწყობას. აზრათ მო-  
უვიდა ყოველ კვირა დღეს გაეგზავნა სოფ-  
ლად რამდენიმე ასი ათასი ბერლინელი,  
რომელნიც სოფლის ბუნებით დასტკბე-  
ბოდნენ, და სამაგეროდ ამდენივე სო-  
ფლის მცხოვრებნი მოგყვანა ბერლინში თეა-  
ტრებით სარგებლობისათვის. სამწუხაროდ,  
ასეთ სოციალურ თანასწორობისათვის ამინდი

ტიციის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა  
აღძრეს, რომ შმაგალოვის და კუჩარაიანის და-  
ნაშაული აპატიონ. შუამდგომლობა მთავრო-  
ბის თავმჯდომარეს გადაეცა.

#### ოხების წარმომადგენელი სასამართლოში.

თფილისის საოლქო სასამართლოს სესიის  
ცხინვალში ყოფნის დროს, როდესაც გაირჩე-  
ვა ოხების საქმე სასამართლოში წევრებათ შე-  
ვა ოსთა ეროვნულ საბჭოს 2 წარმომადგენე-  
ლი.

#### კაჩანუნის გამგზავრება ევროპაში.

ამ დღეებში თფილისში მოეღიან სომ-  
ხეთის მთავრობის თავმჯდომარეს კაჩანუნს,  
რომელიც ევროპაში მიემგზავრება

#### სენატის პროექტის დამზადება

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას წარ-  
უდგინა საქართველოს სენატის პროექტი.

#### სასამართლოთა შტატების შემცირება.

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა  
სამინისტროს ყველა დაწესებულებებს 3 დღე-  
ში წარმოადგინონ შემცირებულ შტატების  
პროექტი.

#### ფ. ლებედევის გაძევება

ამას წინად დაპატიმრებული რუსთა ეროვ-  
ნულ საბჭოს თავმჯდომარე მთავრობის ბრძა-  
ნებით გაძევებულ იქნა საქართველოდან.

#### დაპატიმრებული რუსის ოფიცრები

მეტეხის ციხეში ამ ჟამად დაპატიმრებუ-  
ლია 22 რუსის ოფიცერი.

#### უწყლობა ქალაქში

თებერვლის 15, 16 ქალაქში დასაღვეი წყა-  
ლი არ იყო, რადგან დიდი ყინვის გამო წყალ-  
სადენის მილში წყალი გაიყინა წყალს ბევრ  
ალაგას პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ.

ყოველთვის ერთგვარი არ იყო. წვიმიან დღე-  
ში ბერლინელები, მიუხედავად მათის ბუნები-  
სადმი დიდის სიყვარულისა, არაფრისთვის არ  
მიდიოდნენ ბუნების წიაღით დასატკობათ, იმ  
დროს, როცა სოფლები დიდის ხალხისით იკერ-  
დნენ მათ ადგილს გასართობებში.

კანცლერი, რომელმაც ამ გზით თავის წი-  
ნააღმდეგ ააზხერა როგორც ბერლინელები,  
ისე არა ბერლინელებიც, იმის შიშით, რომ  
რეისხტაგის მომავალ არჩევნებზე გავლენა არ  
მოეხდინა ხალხის უკმაყოფილებას, იძულებუ-  
ლი გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო. ბერ-  
ლინში უკმაყოფილება ყველა უფასო საზოგა-  
დო გასართობთა შეწყვეტის გამო თავის თა-  
ვად დილია. ამერიიდან თეატრები კვლავ გაი-  
ხსნა მხოლოდ ფასით, რისთვისაც ფულის ას-  
სიგნოვკას მოეხევა კუბონი.

კანცლერის ადგილზე აირჩიეს ფინანსთა მი-  
ნისტრად ნამყოფი. იგი ითვლება აშკარა პრო-  
გრესისტად და ამასთან კარგ მოანგარიშედ. ეს  
მით უფრო საჭიროა, რომ სხვადასხვა ხმები  
დადის, შემოსავლისა და ხარჯის სისწორის  
დარღვევის შესახებ ჩვენს გასოციალისტულ  
საზოგადოებაში.

(შემდგვი იქნება).

სა ჰგვანან, სახარებას რომ უკითხავდნენ. ასეთ  
ჯურა ხალხს თვალები რუსეთისკენ აქვთ მოქ-  
ციული და შველას რუსეთთან ფედერაციაში  
ხედავენ. რა თქმა უნდა ასეთი მიმულის შეი-  
ლები საქართველოს აღამაღლებს!.. დადის კი-  
დევ ხმები, ვითომც საფრანგეთი წინააღმდეგი  
იყვეს ჩვენი დამოუკიდებლობისა და სხვა...  
დაუშვათ, რომ ეს ასეც იყოს. მერე ის ხალ-  
ხი, რომელიც კუთუნებდა ელზას-ლორენზედ  
დღეს გამარჯვებული სხვებს დაუპირებს დახრ-  
ჩობას რუსეთზე გაცემულ მილლიარდებში?  
ჩვენ კი ვგონებთ საქართველო აქაც პოვებს  
საერთო ენას მასთან. ჩვენ ყველა ეს უნდა გვა-  
ინტერესებდეს იმდენათ, რამდენათაც მათი პო-  
ლიტიკაა და არამც და არა ჩვენი მთავრობა არ  
უნდა აწარმოებდეს ისეთ სუსტ პოლოტიკას,  
რომელიც ასეთ აზრებს სიმპატიურათ ეპყრო-  
ბოდეს. ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქმნას.  
საყოველთაოთ ჩვენში დაგმობილი ლაჩარი მა-  
ჩანჩალობა და უნდა გადაეცეს სადავენი იმ  
ხალხთ, რომლებიც ყოველ ჟამს და ყოველ შე-  
ქნაში ქართულ სიტუაციაში თავის სუფერენი-  
ტეტს მედგრად, შეუბღალავად დაიცავენ. თავში  
ვსთქვი: ჯერ ლოლიკური დასკვნა არ ჩამოყა-  
ლიბებულა საერთაშორისო ომისა; ამის გამო-  
ძახილს პარიზის კონფერენცია იძლევა. საქარ-  
თველოს ესაჭიროება წინ დახედული პოლი-  
ტიკა და მის აშენებას ამ თავითვე სჭირია მუდ-  
მივი, პატრიოტულათ გამჭვალული ჯარი და  
სანდო ხელმძღვანელები სათავეში. თუ ჩვენ  
ვერ მოვახერხებთ დროზედ ამის განმტკიცება,  
მაშინ ჩვენ სასტიკათ დავმარცხდებით ისე რო-  
გორც ჯერ არც ერთი ერთი არ დამარცხებულა.

მ. ბეჭია.

### ფ ე ლ ე ტ ო ნ ი.

#### სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის  
რიხტარის კრიტიკა

თავი XXII

სოფლის უკმაყოფილებამ უმაღლეს წერ-  
ტილს მიადწია, როცა გაიგეს ბერლინის მო-  
ვდნებზე გამართულ მუნიციპალიტეტისა და თეატრებში  
უფასო წარმოდგენების ამბავი. ყველა პატარა  
კუთხეში თხოულობენ იმას, რომ თუ სოცია-  
ლური თანასწორობაა და ერთგვარ სამუშაოსა-  
თვის საერთო ხელფასია, ჩვენც უნდა გვექნეს  
ხალხთა გასართობები ხალხთა საერთო ანგა-  
რიშზეო! სოფლის მცხოვრებთ უიმისოდაც  
აკლიათ გაზით განათება, ელექტრონის ლამ-  
პები და ჰაერით გათბობა.

მთავრობის გაზეთი ცდილობდა დაემშვი-  
დებია უკმაყოფილონი სოფლის ცხოვრების  
უპირატესობით, იდილიურ მოსაზრებით სო-  
ფლის სუფთა ჰაერისა და ბუნების წიაღით და-  
ტკობის შესახებ. მაგრამ ეს დაცინვათ მი-  
იღეს. სადაა ბუნებით დატკობა. ზამთრის  
კრძელ დამეებში და წვიმიან ამინდში? ვინ  
იტყვის რასმე სუფთა ჰაერის შესახებ სოფლის

### საგუბერნიო ადმინისტრაციის გაუქმების

კანონი.

1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებამ დაყოფა და საგუბერნიო ადმინისტრაციული დაწესებულებანი.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება სოხუმისა და სოჭის ოლქებზე.

2. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს მოახდინოს აღნიშნულ დაწესებულებათა ლიკვიდაცია და საქმეების სათანადო დაწესებულებათა შორის განაწილება.

3. თფილისის და ქუთაისის საგუბერნიო შტერინავი რაზმები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

4. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთი ადმინისტრაციული ინსპექტორის თანამდებობა და ორი მისი თანაშემწისა.

5. დამტკიცდეს ამასთანავე დართული შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ ნაწილს ინსპექციის შტატი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეხსნას კრედიტი ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შესანახად ას ორმოცდა ათი ათასი (150,000) მან.

7. ინსპექტორისა და მის თანაშემწეთა ხელისუფლებას შეადგენს:

ა) ყველა უფლება და მოვალეობა, რომელიც მინიჭებული აქვს ამიერ-კავკასიის საგრობო დაწესებულებათა დებულებით და დროებით შთავრობის საქალაქო დებულებით საგუბერნიო და სამაზრო კომისრებს. თვითმართველობათა მიმართ, გარდა ქალაქ თფილისის თვითმართველობისა, რომელიც ამ საგნებში პირდაპირ ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბ) თვალყურის დევნება ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებათა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა და მათი რევიზიის მოხდენა როგორც პირადად, ისე თავის აგენტების საშუალებით.

გ) თვალყურის დევნება კანონთა, ბრძანებათა და განკარგულებათა ადგილობრივ გამოცხადებისა და მათი ცხოვრებაში გატარებისა თუ შესრულებისა.

დ) ადმინისტრაციის ინსპექტორს ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ნაწილის გამგებლობა.

### ჩეხების ძალადობა უნგრეთში.

ნაუენი თებ. 11. პრესპურგში ჩეხების ძალადობამ ჰუნგრელთა შორის გამოიწვია უკმაყოფილება. რომელიც ამბობენათ გადაიქცა. ზემო-ჰუნგრეთში მუშაობა შესწყდა.

### მოკავშირენი დაპყრობილ ოლქებში.

ნაუენი. თებ. 15 მოკავშირეებმა აღკრძალეს გერმანიის დამფუძნებელ კრების წევრთათვის გზავნა დაპყრობილ ოლქებიდან.

### ბოლშევიზმი რუმინიაში.

რუმინიაში ბოლშევიკური მოძრაობა ძლიერდება. მოძრაობა ბუქარესტიდან ვრცელდება. მეფე-დედოფალი იასში გაქცევის სცდილობდნენ.

### გერმანიის დამფუძნებელი კრება.

ნაუენი, თებ. 14 გერმანიის დამფუძნებელ კრების თავჯდომარეთ აირჩიეს ცენტრის დეპუტატი ფერენბახი, თავჯდომარის ანხანავათ სოც. დემ. შულცი.

### კომუნისტთა ბელადის დაპატიმრება.

დაპატიმრეს გერმანიის ცნობილი კომუნისტი ოტტო რიულე.

### ცენზურა გერმანიაში.

ბერლინის პრესის კავშირმა დამფუძნებელ კრებას მოსთხოვა ყველა გაზეთებზე ცენზურის მოხსნა.

### ბალშევიკების დამარცხება ჩრდილო კავკასიაში.

თფილისი, თებერვლის 16. ინგლისის მისიის ცნობა. ბოლშევიკები ჩრდილოეთისაკენ უკან დახევას განაგრძობენ. მათ სდევნის მოხალისეთა ცხენოსანი ჯარი. მოხალისეთა ჯარის მიერ ყიზილთარის დაქერის შემდეგ, ბოლშევიკებმა 9 თებერვალს დასცალეს ბაქოი და ალექსანდროვსკოე.

### ებერტის ბიოგრაფია.

ებერტის პრეზიდენტ არჩევის გამო გაზეთებს მოყავთ ცნობები მისი აღზრდისა და ოჯახურ მდგომარეობის შესახებ. ებერტი დაიბადა ჰაიდელბერგში 1871 წლის თებერვლის 4. მისი მამა თერძი იყო. ფრიდრიხ ებერტი ჯერ სახალხო შკოლაში სწავლობდა, შემდეგ მან შეისწავლა მამის ხელობა. ებერტს ადრე გაეღვიძა ინტერესი მუშათა საკითხისადმი და 21 წლისა იყო, როცა 1892 წელს გაემგზავრა ბრემენში, სადაც რედაქტორობდა სოც.-დემ. „ბრემენის გაზეთს“. 1894 წლის მაისის 11 ჯვარი დაიწერა ადგილობრივ მცხოვრებ ლუიზა რუსიპზე. 1900 წელს ის მუშათა კავშირის მდივანთ იყო. 1915 წელს წევრათ შევიდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის გამგეობაში. 1905—6 წ. ებერტი ბრემენის მდაბიო მოქალაქეთა წოდების წევრათ იყო.

რეისხტაგში არჩეულ იქნა 1912 წ. იანვარში. 1913 წელს აგვისტოში ავგუსტ ბებელის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თავჯდომარის ადგილი დაიკავა. ებერტს ყავდა 5 შვილი: 4 ვაჟი და 1 ქალი, რომელიც ახლა 18 წლისაა. 2 შვილი ომში დაკარგა, 2 ვადარჩენილი ვაჟი დაახლოვებით 20 წლისანი არიან. ცოლი 45 წლისაა.

### უპანასკნალი ცნობები

დამფუძნებელ კრების არჩევნებში ქ. თფილისში ჩვენმა პარტიამ (№ 8) მიიღო 368 ხმა. ქ. ქუთაისში ჩვენ პარტიას მიუღია 200 ხმამდე; ქ. ზესტაფონში—53 ხმა. ქ. გორში—50 ხმა. სხვა ალაგებიდან ჯერ ცნობები არ არის. თითქმის ყველგან არჩევნებში იღებს მონაწილეობას მარტო ერთი ნახევარი;

### სამხედრო ბეგარის შემოღება ამერიკაში

ლონდონი, თებერვლის 7. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან აუწყებენ, რომ ამერიკის სენატში შეიტანეს საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონპროექტი.

### ბრძოლა გერმანიასა და პოლონეთს შუა.

გერმანიის მთავარ ბანაკი საბოლოოდ აღმოსავლეთისაკენ გადავიდა. გენ. ჰინდენბურგი კოდბერგში მივიდა და ზომებს მიიღებს აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

### ინგლისი და ესტლანდია.

ინგლისის დელეგაციის თავჯდომარემ რეველში აცნობა ესტლიანდიის ბურჟუაზიულ მთავრობას, რომ ინგლისმა გადასწყვიტა არ გააზავნოს ჯარი ესტლანდიაში.

### მოკავშირეთა კონტროლი ციმბირის რკინიგზაზე.

შეერთებულმა შტატებმა მიიღეს იაპონიის მთავრობის წინადადება ციმბირში რკინის გზის აღდგენის შესახებ. ციმბირის რკინის გზას კანტროლს გაუწევს საერთაშორისო კომისია, რომლის თავმჯდომარე რუსი იქნება.

### დროებითი ზავის განახლება.

დროებითი ზავის გერმანიის დელეგაცია სწრაფი მატარებლით პარასკევს დილის 9 საათზე ტრიერში გაემგზავრა კომისიაში შედიან: მინისტრი ერცბერგერი, გენ. გალემდენშტეინი, მინისტრი ფონ გე... (გამოტოვებულია), კაპიტანი დანზელოვი, და რამოდენიმე ექსპერტი, მარშალ ფოშიშუაღლისას ჩამოვიდა. კამათი გახსნა მარშალ ფოშმა. მის შემდეგ ილაპარაკა ერცბერგმა. ახალი დამატებით პირობების თანახმად გერმანიელებს უფლება არა აქვთ პოლონელების წინააღმდეგ აწარმოონ შეტევა და აღნიშნულ ხაზს იქით ჯარი გადაიყვანონ... (დამახინჯებულია)... დროებითი ზავის ვადა გამორკვეული არაა.

დროებითი ზავის გაგრძელების შესახებ მოლაპარაკების დროს ტრიერში ერცბერგერმა სთქვა: გერმანიის ხალხი იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, რომ დროებით ზავის გაგრძელების მიზანი გერმანიას ახალი მძიმე პირობები დააკისრონ. ამ გვართ დროებითი ზავი გერმანიის ხალხში იწვევს უნდობლობას, საერთო ზიზღს და უიმედობას.

### უცხოეთის ამბები

### ტალეზრამუი.

საქართველოს სააგენტოსი.

ირლანდიის გროვნიული მოძრაობა.

პაგა. თებ. 3 ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბელფასტი აჯანყებულ მუშათა ხელშია.

ბერლინი, თებერ. 10. დუბლინში მდგომარეობა მწვავედება და საშიშ სახეს ღებულობს. რაც გამოიწვია ირლანდიის ნაციონალისტთა ბელადების დატუსაღებამ. მოითხოვენ მათ განთავსდნენ და კვირაში 40 საათის მუშაობის შემოღებას.

### საზავო კონფერენცია.

ხალხთა ლიგის პროექტის მიღება.

ხალხთა ლიგის ვილსონის პროექტის წაკითხვის შემდეგ ორატორებმა თავის სახელმწიფოების სახელით მოიწონეს პროექტი. საფრანგეთის სახელით ლეონ ბურჟუამ განაცხადა, რომ საჭიროა შეიქნას საერთაშორისო ძალა, რათა ყოველ ქაშს მზათ იყოს ჯარი ლიგის რომელიმე წევრ-სახელმწიფოზე თავდასხმის მოსაგერიებლათ.

საბერძნეთის მოთხოვნები.

თებ. 9. საზავო კონფერენციაზე საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა, რომ მას მიეცეს ოსმალეთის რამდენიმე პროვინცია და სტამბოლი.

ხალხთა ლიგა და მოკავშირენი.

პარიზი თებ. 15. შეთანხმების სახელმწიფოებმა დაადგინეს ყოფილ მოკავშირეთა შორის თავდაცვის კავშირი შეიკრას. დაიდება ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეუძლებელი იქნება რაიმე ცვლილება შეიკვრება აგრეთვე საომარი კავშირი იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც ლიგაში არ შედიან. შემოღებულ იქნება მუშათა ექსპლოატაციის ერთნაირი წესები ყველა ქვეყნებისთვის მოხდება შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ზღვების და ხალხთა ლიგაში შესულ სახელმწიფოების კაპიტალისტთა სავაჭრო ურთიერთობის თავისუფლებას.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი :

#### გათუვის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოძევა-ვებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

### მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | ხამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ბელეფონი № 18—31.

ქონტორა ქართულ ქარვასლაში, ხახხლის ქ. № 5.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ბელეფონი 4—73.

### სასულიერო მთავრობის ლოცვა-კურთხევით,

ქ. თფილისში (ავლაბარში) წმ. მაცხოვრის ფერისცვალების (დარჩის) მონასტერთან

### დაარსდა პირი

## სასულიერო — სასწავლებელი

მოწაფეთათვის წლოვანება განუსაზღვრელია, საღვთისმეტყველო საგნების და საეკლესიო ცალკობის შესწავლა და აგრეთვე წირვა-ლოცვაზე მუდმივი სიარული სავალდებულოა.

სწავლის ფასი წლის ბოლომდის პროცენტის მიხედვით კლასებში—75 მან. მოსაძიებელ კლასებში—60 მან.

წმ. მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი და მასთან არსებულ სასწავლებლის მმართველი არქიმანდრიტი იოანე.

### საქართველოს გაურნათა დამოუკიდებლობის მისაღწევად

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წვერათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დაღმართი № 2. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

### აქიმი დ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, განიბის ქ. № 14, ტელ. 14—60.

### მატარებლების მიწოდება

(11 თებერვლიდან)

მიღის თფილისიდან.

ფოთში:

- მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
- ხაშურიდან—ღამის 10 ს. 52 წ.
- შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
- სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
- ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
- პლატკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან.
- მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
- ხაშურიდან—ღამის 3 ს. 08 წ.
- შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
- სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
- ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
- პლატკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მან.

ქუთაისში:

- მ. № 9 სამგზავრო საღამოს— 10 ს. 30 წ.
- ქუთაისში მივა დილის — 7 ს. 21 წ.
- პლატკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

ბორჯომში:

- მ. № 19 სამგზავრო დღის 3 ს. 30 წ.
- გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
- ბორჯომიდან მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
- პლატკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

ბაკოში:

- მ. № 4 საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.
- მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის 3 ს. 35 წ.
- მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე პლატკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ., II კ. 40 მ., III კ. 20 მ.

ყარხისაკენ—ერევანში:

- მ. № 4 საფოსტო დღის — 1 საათ. 40 წ.

მცხეთაში:

- მ. № 61 დილის — — — 7 საათ. 37 წ.
- მ. № 63 — — — — — დღის 3 ს.

მოღის თფილისში.

ფოთიდან:

- მ. № 2 სასწრაფო დილის 9 საათ. 41 წ.
- ფოთიდან გამოვა საღამ. 11 ს.
- მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათ. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

ქუთაისიდან:

- მ. № 12 დილის — — — — 8 ს. 15 წ.
- ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.

ბორჯომიდან:

- მ. № 20 დილის — — — — 7 ს. 20 წ.
- ბორჯომიდან გამოვა ღამის 12 ს. 46 წ.

ბაკოდან:

- მ. № 3 საფოსტო დღის — — — 4 ს. 30 წ.
- მ. № 3 საფოსტო დღის — — — 4 ს. 30 წ.
- მ. № 5 სასწრაფო დილის — — — 7 ს.
- მ. № 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
- მ. № 5 პლატკარტიანია; პლატკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ., III კ. 20 მ.

ნახევანიდან და ყარხიდან.

- მ. № 3 საფოსტო დილის — 11 ს. 30 წ.
- ამათ გარდა ყვრა უქმე დღეებში

მცხეთაში:

- მ. № 62 დილის — — — — 11 ს. 10 წ.
- მ. № 64 საღამოს — — — — 7 ს. 20 წ.